


# 15 ქულა და 12 მოხსნა ნაამდვილი

ორმაგი დუბლით — 15 ქულითა და 12 მოხსნით დაიწყო თავისი მეოთხე NBA-ური სეზონი ზაზა ფაჩულიამ. „ატლანტა ჰოუქსის“ ქართველმა ცენტრმა „ფილადელფია 76-თან“ მატჩში სრულად ითამაშა და ამ დროში ქულა-მოხსნებთან ერთად ორ-ორი დაფარება-პასი და ერთი ჩაჭრა მიითვალა.

ერთი ეგ იყო, ზაზას „ატლანტა“ აღენ აივერსონის „ფილადელფიასთან“ უიმედოდ, 75:88 დამარცხდა. „ქორები“ არც წლეულს ჩანან საპლეიოფოდ გამზადებულნი და ალბათ ისე მოხდება, რომ ქართველი კალათბურთელი ვერც ამ სეზონში დააჭაშნიკებს საპლეიოფო თამაშის გემოს.

ამასობაში, NBA-ს ლაბირინთებში რამდენიმე წელი ამაოდ მოხეტიალე ნიკოლოზ ცქიტიშვილმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაიწურა ამერიკაში მისი მსურველი გუნდის პოვნის იმედი და ევროპისკენ გამოიხედა — უახლოეს მომავალში „სკიტა“, სავარაუდოდ, იტალიური ან ესპანური ლიგის რომელიმე მეორეხარისხოვან გუნდში დაიწყებს თამაშს



## შოთა ანუ გოგოლ!

## ანჩე-ლოტო: ამოუვა კასას 15?

საქართველოს ნაკრების ტრავმირებულია სიას კახა კალაძეც დაემატა. „მილანის“ მცველი ბელგიურ „ანდერლეხტთან“ საჩემპიონთალიგო მატჩის წინ ვარჯიშისას დაშავდა და, ცხადია, არც უთამაშია.

შეძლებს კალაძე საქართველო — ურუგვაის 15 ნომბრის ამხანაგურ შეხვედრაში თამაშს? ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ კახა სერია A-ს უახლოესი, 5 ნომბრის ტურის მატჩს გამოტოვებს „ატლანტასთან“. ამის თაობაზე გუშინ შავ-წითელთა თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა.





# ნაცარი: ესაა, რას არი?

ამ ნაცრისფერ ქვეყანაში, მგონი, ნაცარსაც არ აქვს ბუნებრივი ფერი. ყოველ შემთხვევაში, ამ ნაცრის თვალეში შემყრელებს სურთ, უფრო მუქი და მთლად შავი იყოს, სულ რომ ვერაფერი დაეინახოთ და გავარჩიოთ.

ათასობით კაცმა საკუთარი თვალით ნახა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სწორედ რომ საჩემპიონო ამბიციის მქონე ორმა გუნდმა მატჩის შემდეგ როგორი ჩხუბი და დაკა-დაკა ატეხა. ორმა, ოთხმა, რამდენიმე მოთამაშემ კი არა, ორმა გუნდმა! ქვეყანამ გაიგო ეს ამბავი, ყველა გაზეჟინდა დაწერა, ტელევიზიებმა გადასცეს და ამ დროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრი, სხვათა შორის, თავადაც ჟურნალისტის ტატო ლასხიშვილი ოფიციალურ სიტყვაში ამგვარ რამეს ამბობს — „ამ ჩხუბს მასშტაბი სიგანე ანგაფირება მოჰყვება, სინამდვილეში კი არც ისე დიდი ამბავი მომხდარა, როგორც მასმედიაში დახატა“.

საინტერესოა, ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს, ყურადღების მიქცევად რომ ღირდეს?!

ერთი კითხვა ზემოთ სიტყვების ავტორს: ფედერაციის შემინულ ფასადს ქვა რომ ესროლონ, ეს ამბავი პრესის ყურადღებად ეღივება თუ არა?

და თქვენ ბრძანებთ, რომ ორი გუნდის 20 ფეხბურთელი ერთმანეთს თავ-პირს რომ ალენავს და დედის სულს უტრიალებს, ყურადღებად და „ანგაფირებად“ არ ღირს?!

შაკილ ონილა თქვა, ახალი ბურთები არ მომწონსო და 50-ათასიანი ჯარიმა აჰკიდეს. მაგრამ ჩვენ ხომ ამერიკაში არ ვცხოვრობთ.

თუკი მამიდაშვილის გარე მამიდაშვილი არ შემოგვჩივლებს, აქა და აქ, თამაშის მერე ჩხუბში მოვყვები და ცხვირ-პირი ამომინაყვსო, შეგვიძლია, ეს ამბავი ორფურშა გაავატაროთ, ხოლო მათ, ვინც არ გაავატარებს, ვუთხრაო, რად გინდა ამხელა ამბავს რომ ტეხოს.

## კოზა ინასარიძე


საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების სხდომის (01.11.2006) გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, უმაღლესი ლიგის მე-11 ტურის არბიტრთა წინასწარ დანიშნვებში მოხდა ცვლილებები:

1. ზესტაფონის „ზესტაფონსა“ და ბოლნისის „სიონის“ მატჩს ეროვნული კატეგორიის არბიტრის მ. ბუქლიშვილის ნაცვლად მოემსახურება ეროვნული კატეგორიის არბიტრი გ. ვადაჭკორია.

2. საჩხერის „ჩიხურასა“ და ბათუმის „დინამოს“ შეხვედრას ფიფას არბიტრის ლ. სილაგავას ნაცვლად იმსაჯებს ეროვნული კატეგორიის არბიტრი ა. კრიჭავილი.

სეფის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება

„მე არ მყავს გასანირი მსაჯები“ — ეს სიტყვები მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების თავმჯდომარემ ამირან კაჭახიძემ გუშინინდელ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე თქვა და რაღა გასაკვირია, რომ ამიტომაც დაისაჯა ასე ლმობიერად მალხაზ ბუქლიშვილი: მსაჯი, რომელმაც „ამერი“ — „ლოკომოტივის“ მატჩისას ტრიბუნებისკენ შეიგინა, უმაღლესი ლიგის მხოლოდ ორ მატჩს გამოტოვებს. „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ჟორჯიანი ამ და სხვა პრობლემებზე მკაფიოდ გამოხატული აზრი აქვს, რომელიც რამდენიმე დღის წინ პროფლიგის გამგეობის სხდომაზეც დააფიქსირა. ახლა კი შედარებით ვრცლად...



ბადრი კატილაძის ფოტო

# რატომ არის ძნელად გასაგები ყველგან იოლი: მთავარი დასჯა კი არა, სა-ქმე-ა!

— როცა ნეგატიურზე ვლაპარაკობ, თვითმიზანი ის კი არ არის, რომ ვიღაც მკაცრად დაისაჯოს, არამედ მინდა, ეს პრობლემები მომავალში შემცირდეს. წარმოიდგინეთ, მსაჯი ავინებს მაყურებელს, თან ორჯერ — ამაზე უარესი არაფერი არსებობს. ცული ისაა, რომ მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ არაადეკვატური გადაწყვეტილება გამოიტანა. რას ნიშნავს ორი თამაშით უმაღლეს ლიგაში დისკვალიფიკაცია? პირველ ლიგაში შეუძლია, რაც უნდა, ის გააკეთოს? ასეთი გადაწყვეტილება ეროვნული ჩემპიონატისადმი და მაყურებლებისადმი უპატივცემულობაა. და როგორ გინდა, ამის შემდეგ გულშემატკივარი სტადიონზე მოიზიდო...

— ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მსაჯები ლმობიერად ისჯებიან. ამირან კაჭახიძემ

განაცხადა, მაღალკვალიფიციური მსაჯების ნაკლებობას განვიციდითო...

— ასე დავსვით საკითხი: ფეხბურთელი უფრო დასასჯელია, მაყურებელს რომ ავინებს თუ მსაჯი? ვიტყვით, პაატა დათუნაიშვილს ტრიბუნებისკენ გინება ოთხთამაშის დისკვალიფიკაციად დაუსვეს, მსაჯ ბუქლიშვილს კი ორად — და ისიც მხოლოდ უმაღლეს ლიგაში.

კაჭახიძის ქმედებები და შემდგომი კომენტარები უსაფუძვლო და უმწიფოა. რას ნიშნავს „სარბილთა“ ინტერვიუში ნათქვამი: „მსაჯები უფრო მკაცრად გვინდოდა და გვესაჯა, მაგრამ თავად დაინტერესებულ პირებს მათთან გადამეტებული პრეტენზიები არ ჰქონიათ და ეს გავითვალისწინეთ“. მეოთხე მსაჯთან, მატჩის დირექტორთან და ლიგის გამგეობის სხდომაზე გამ-

ოვთქვი პრეტენზიები და მეტი რა უნდა მექნა? ბატონი კაჭახიძე ასეთი კომენტარებით საკუთარ არაკომპეტენტურობას ამჟღავნებს. ვფიქრობ, ის ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს და მისთვის შეუფერებელი თანამდებობა უკავია.

არ ყოფილა შემთხვევა, არდანიშნულ-დანიშნულ პენალტებზე გამომეთქვას ოფიციალურად პრეტენზია. ახლა კი უპრეტენზიოდ რამ მოხდა: მსაჯმა მაყურებელს ავინა და უარესი რაღა შეიძლება, მომხდარიყო?

— „ამერზე“ ხშირად აქვები და აკი ისიც ითქვა, „დინამო“ — „ოლიმპის“ მსაჯი ლაშა სილაგავა და ამერელთა ფეხბურთელი გიორგი სილაგავა ძმები არიანო...

— ლაშა და გიორგი მართლაც ძმები არიან... ამაზე სერიოზული საუბარი შეიძლება? ყველამ თავის გულში ჩაიხედოს...

— „ამერის“ სტადიონზე გულშემატკივრების დებოში არავის უნახავს, თუმცა რევიონებში ზოგან სრული ქაოსია. თქვენი აზრით, რით უნდა მოველოს ამ პრობლემას?

— ფეხბურთი ემოციაა, მაგრამ გარკვეულ ჩარჩოებში უნდა ვდებოდეს მაყურებელთა ქცევა. ამაზე უნდა იმუშაონ როგორც კლუბების ხელმძღვანელებმა, ასევე კომპეტენტურმა პირებმა. ბევრნაირად შეიძლება ამის ორგანიზება.

— მსაჯებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ნოდარ ახალკაცს თუ ესაუბრეთ?

— როდესაც თბილისში ჩამოვა, ახალკაცთან აუცილებლად მექნება კონსტრუქციული საუბარი. მე მასთან პირდაპირი და სალი ურთიერთობა მაქვს და ჩამოყალიბებულ პოზიციას მასთანაც დააფიქსირებ.

ილია ნანოზაშვილი

# დიმიტრი რამიშვილი: მსაჯების ნაკლებობა კაჭახიძის ნაკლია

ლაშა სილაგავას ერთი მატჩით უმაღლეს და პირველ ლიგებში, მალხაზ ბუქლიშვილს კი უმაღლეს ლიგაში ორი მატჩით აეკრძალათ მსაჯობა — ასეთია მსაჯთა და დამკვირვებელთა სადისციპლინო კომისიის განაჩენი. რა მოხდა იმ კონკრეტულ თამაშებში და რის გამო დაისაჯნენ ეს მსაჯები, ამაზე უკვე ბევრი ვწერეთ. საერთო შეფასებით, განაჩენი საკმაოდ ლმობიერი და, ფაქტობრივად, არაფრისმომცემია. ასეთივე აზრისაა პროფლიგის პრეზიდენტი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი



ისეთი თამაში ჩატარდეს, სადაც მსაჯი ივინება ან ფეხბურთელზე იწვევს. მსაჯს ნერვები უნდა ჰყოფინდეს და თუ ვერ უძლებს თამაშის დაძაბულობას, მაშინ ის მატჩი იმსაჯოს, რომელსაც ნორმალურად გაუძღვება და მოერევა — საამისოდ არსებობს ბავშვთა ლიგა, კაბუკა ლიგა...

— დაინტერესებულ მხარეებს გადამეტებული პრეტენზიები არ ჰქონიათ და მსაჯების მკაცრად დასჯასაც ამიტომ მოვერიდეთ, ესეც თქვა კაჭახიძემ.

— პროფლიგის გამგეობის სხდომაზე „ამერის“ პრეზიდენტმა ზურაბ ჟორჯიანი გამოთქვა პრეტენზიები, საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა, ყველაფერი დაასაბუთა და ჩხუბს ხომ არ დაიწყებდა... კაჭახიძის არგუმენტი არამართებულია.

— ნოდარ ახალკაცის ჩამოსვლის შემდეგ ამ საკითხს მივუბრუნდებითო. შეგიძლიათ, თქვათ, რომ მსაჯები მკაცრად დაისჯებიან?

— ამას გადაწყვეტთ, ჯერ წინასწარ ვერ ვეტყვით. ჯერ მინდა, „ამერის“ ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო, რათა მსაჯის მხრიდან შევიხივებინებინო შეხვედრები შეაკავს და დებოში არ დაუშვას.

ილია ნანოზაშვილი





# ბინდისფერია ქვეყანა ეჰ, ებ რომ ვიცოდა... ანტონიო სოსე ანტონიო რეიესი



## პლატინი კიდევ ორი თანამსაჯით მოდის კატალონიის ნაკრები ჩემი საქმე არ არის

მიშელ პლატინი „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტასთან შესახვედრად ესპანეთში ჩავიდა. ლეგენდარულმა ფრანგმა და კატალონიური გრანდის თავკაცმა უეფას მომავალ პრეზიდენტად პლატინის კანდიდატობაზე და მისი პროექტების შესახებ ისაუბრეს. რა თქმა უნდა, სახელგანთქმული კაცის ჩასვლა ესპანური მედიის ყურადღების მიღმა არ დარჩენლა. პლატინის ინტერვიუ „მარკამ“ ჩამოართვა...

— თქვენი სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ მსოფლიო ფეხბურთი ძალიან შეიცვალა? — ბოლო ათ წელიწადში ფეხბურთი მართლაც ძალიან შეიცვალა. გამოჩნდნენ დეკუს, ზავის, პირლოს, ლამპარდის და უინიჩოს მსგავსი ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები, რომლებსაც შესანიშნავი ტექნიკაც აქვთ. ადრე ასეთ ფენომენს იშვიათად შეხვდებოდით. ესპანეთს კი შეუძლია, მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ეროვნული ჩემპიონატით იამაყოს, რადგანაც პრიმერადივიზიონში ასეთი ფეხბურთელები მრავლად არიან. ესპანური პრიმერა მსოფლიოს საუკეთესო ლიგაა, იტალიური სერია A ყველაზე რთული, ინგლისური პრემიერლიგა კი სანახაობრივი თვალსაზრისითაა ყველაზე მიმზიდველი. — მადრიდის „რეალზე“ რას გეუბრები? — მას შემდეგ, რაც გუნდიდან ფიგუ და ზიდანი წაიღიან, „რეალი“ ჯერაც რეკონსტრუქციის პერიოდშია. ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით. მადრიდელებს ტიტულების სასწრაფოდ მოგება სჭირდებათ და არა ლამაზად თამაში. კაპელი „ბერნაბეუზე“ სწორედ ამიტომ მიყვანეს. — ბოლო ხანს თქვენს ყურადღებას რომელი ფეხბურთელები იქცევენ? — რონალდინიოს, როგორც ფეხბურთის მაესტროს, უდიდეს პატივს ვცემ. გარდა ამისა, რონი გულისხმიერი და სიმპათიური ადამიანია.

ასევე მომწონს ჯერარდი და დეკუ. პორტუგალიელს მისი ოსტატობის გამო შეიძლება ადამიანი-გუნდიც კი ვუწოდოთ. — „ოქროს ბურთს“ ყველაზე მეტად ვინ იმსახურებს? — მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს ამ ჯილდოზე დიდი გავლენა აქვს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ „ოქროს ბურთს“ რომელიმე იტალიელს გადასცემენ. მე ჯანლუიჯი ბუფონს დავაჯილდოვებდი. — მსაჯები ბოლო დროს ხშირად ცდებიან... — მარტო სამი არბიტრი საქმეს ვერ აუდის. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ორ გვერდით მსაჯს კიდევ დავამატებდი, თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიას კი მხოლოდ იმის გასარკვევად გამოვიყენებდი, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა თუ არა. — კატალონიის ნაკრების ოფიციალურ ტურნირებში შესაძლო მონაწილეობაზე რას გეუბრები? — ეს უკვე პოლიტიკის სფეროა და კატალონიის ნაკრების ამბავიც პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ. — ჩემპიონთა ლიგაში რას შეცვლიდა? — ვფიქრობ, ლიგაში ერთი ქვეყნიდან სამზე მეტმა გუნდმა არ უნდა ითამაშოს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რუმინეთის, შვედეთისა და პოლონეთის მსგავს ქვეყნებში ახალი ვარსკვლავები გამოჩნდნენ. ამით ფეხბურთი უფრო განვითარდება.

ხოსე ანტონიო რეიესი ის კაცია, რომელსაც საქმეები კარგად მიუდის. თავად განსაჯეთ: 23 წლის გარემარბს უკვე „არსენალშიც“ აქვს ნათამაშევი და „რეალშიც“, ხოლო გასულ ზაფხულს ესპანეთის ნაკრების მაისურით მსოფლიოს ჩემპიონატზე იბრძოდა. მაგრამ, ნათქვამია, მედალს ორი მხარე აქვსო. თავად ახალგაზრდა ანდალუზიელი ამბობს, რომ ცხოვრებაში ბევრი წინააღმდეგობა უნახავს, თუნდაც მარჯვენა ფეხის ბოლოდროინდელი ტრავმა — რეიესს განყვეტილი კუნთი ახლახან დაუამდა... „მადრიდში თავს შინაურულად ვგრძნობ — უთხრა ფეხბურთელმა fifa.com-ის კორესპონდენტს — სამშობლოში დაბრუნება და „რეალის“ ფორმის მორგება ჩემთვის დიდი რამ გახლდათ“



რეიესის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ესპანურ პრიმერადივიზიონში პირველად 16 წლისამ მშობლიური „სევილიას“ შემადგენლობაში ითამაშა. გავიდა ოთხი წელი და 20 წლისა ინგლისს გაემართა. „სევილიიდან“ წასვლა იოლი არ იყო — იგონებს გარემარბი — იმხანად სულაც არ მინდოდა სადმე გადასვლა და ერთადერთი ადგილი, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობდი, ჩემი მშობლიური ქალაქი გახლდათ, თუმცა ყოველი მხრიდან მიმტკიცებდნენ, რომ ინგლისში უდიდეს გამოცდილებას მივიღებდი“. მაგრამ გამოცდილება ერთია და ის მილიონები, რომლებიც „არსენალმა“ ცალკე კლუბს და ცალკე ფეხბურთელს შესთავაზა — სხვა. ასეთ ფულზე უარის თქმა არაფრით შეიძლებოდა, ასე რომ, რეიესმა ჩემოდნი ჩააღა და ალბიონზე გადაბარდა, სადაც არსენ ვენგერისთვის თავის მოსაწონებლად დიდძალი მუშაობა დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელს ლონდონელთა შორის თავი თავიდანვე არ შეურცხვენია, პირველი გოლი ლიგის თასზე, „მიდლსბროს“ წინააღმდეგ, „მიდლსბროს“ კი არა, თავისი გუნდის კარში შეაგდო. „ინგლისში გადასვლა იოტისოდენად არ მინანია. უამრავი რამ ვისწავლე: სხვანაირად მუშაობის კულტურას ვეზიარე, დისციპლინირებული გავხდი... ისეთ ლიგაში, როგორც ინგლისური პრემიერლიგაა, შეუძლებელია, ბევრი არ ისწავლო. იქაური ფეხბურთი ესპანურისგან განსხვავებულია. ინგლისში ძალისმიერად თამაშობენ და ფეხბურთელებს შორის შეჯახებები გაცილებით მეტია, ხოლო ესპანეთში უფრო

ტექნიკურ ფეხბურთს მივდექო. თამაშის ხარისხი აქ უფრო მაღალია“. გასაკვირია, რომ რეიესი, რომელიც თითქოსდა ჩინებულად ერწყმოდა ლონდონურ კლუბსა და ინგლისურ ფეხბურთს, თურმე ბრიტანეთში ცხოვრებას ვერაფრით ეგუებოდა. „ლონდონს ვერაფრით შეგვეუიქ ძალიან ბნელა და მაღაზიებს ადრე კეტავენ. მოკლედ, რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო ცუდად ვგრძნობდი თავს, სულიერი მდგომარეობა კი აუცილებლად აისახება თამაშზე. ასეთ დროს გარემოს გამოცვლა საუკეთესო გამოსავალია“. გასაჭირში ჩავარდნად გარემარბს გაუმართლა, მისი შექმნილ სამშობლოდან დანტერესდნენ. კერძოდ, ლონდონიდან რეიესის გამოსყიდვა მადრიდის „ატლეტისკომ“ და არც მეტი, არც ნაკლები, „რეალმა“ გამოთქვეს და საბოლოოდ ყველაფერი საუკეთესოდ დამთავრდა — „ლოს ბლანკოს“ ანუ თეთრები, აი, ვინ იხსნა ბნელი საღამოებით დათრგუნული თანამემამულე. „მე გადავედი იმ „რეალში“, რომელიც ტიტულებს ვეღარ იგებს, მაგრამ საკმაოდ ძლიერია და ნებისმიერ შეჯიბრებაში გამარჯვება შეუძლია. პირადად ჩემთვის „რეალი“ ვეროპის საუკეთესო გუნდია და აქ თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ“. და მაინც, როგორია ის „რეალი“, რომელშიც ხოსე ანტონიო რეიესი გადავიდა? უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მას ახალი მწვერთელი, „მილანისა“ და „იუვენტუსის“ ოდინდელი თავკაცი, იტალიელი ფაბიო კაპელო წვრთნის და აშკარად წინააღმდეგობებით აღ-

სავსე პერიოდი უღვას. კერძოდ, მან სამარცხვინოდ წააგო „ხეტაფესთან“, მაგრამ დიდებულად მოიგო „სტიუარტსთან“ ჩემპიონთა ლიგაში 4:1 და „ბარსელონასთან“ პრიმერადივიზიონში. იყო გაუგებარი და გასაოცარი სათასო ფრე მესამე დივიზიონის „ესიხასთანაც“ 1:1... „ის თამაში არ ითვლება, რადგან მოედანი ისეთ საშინელ დღეში იყო, რომ რასაც ჩვენ ვაკეთებდით, ფეხბურთი არც ერქვა. მთავარია, რომ გუნდი სწორი მიმართულებით მიდის. „ხეტაფესთან“ აშკარად ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ „სტიუარტსთან“ და „ბარსელონასთან“ ძალიან კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ მაყურებელს. ერთი სიტყვით, ჩვენთან ყველა ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ უტიტულო პერიოდმა გაიარა. საკუთარი თავის აბსოლუტური რწმენა გვაქვს“. ესპანეთის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ხოსე ანტონიო რეიესს მთავარ მეტოქეებად „ბარსელონა“ და „ვალენსია“ მიჩნია. „მე ფაბიო კაპელომდე „რეალის“ გასახვედლში არ ვიყავი და ამიტომ ვერ ვიტყვი რა შეიცვალა, მაგრამ თანაგუნდელები მეუბნებიან, რომ აქ ახლა სულ სხვა ვითარებაა. ამბობენ, რომ გუნდში მორალური ატმოსფერო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა“. და ბოლოს კითხვა, რომელზეც სწორ პასუხს ფასი არ აქვს: რა დაემართა ესპანეთის ნაკრებს? რეიესის პასუხი ასეთია: „სიმართლე გითხრათ არ ვიცი. რომ ვიცოდე, ყველაფერი ხომ დღესვე გამოსწორდებოდა“.



გაგვიდა, ჰე...

გაგვიდა, ჰე...

ლიონი 1:0 დინამო  
1:0 ბენზემა (14)  
ლიონი: კუბუ კლერკი, სვილანი, კრისი, აბიდალი, ტიაგუ, ტულუზანი, ფუნინიო (კალსტრიომი 79), გოფუ (ა. დიარა 88), ბენზემა (ვილტორდი 75), მალუდა მწვრთნელი: ფერარ ულიე



თანაგრობა: ეს ესაა, ბანელ ნიკოლიტამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა

რიტად თვლიდა. ულიე და მისი ბიჭები ზედიზედ მეოთხე გამარჯვებისთვის გავიდნენ მოედანზე, დინამოელთა ამოცანა კი ზედიზედ მეოთხე მარცხის თავიდან არიდება გახლდათ.

კაცმა რომ თქვას, მასპინძლებს გაუმართლათ კიდევ — გოლის თამაშის დასაწყისში გატანა დიდი უპირატესობაა. ეს 19 წლის ქარიმ ბენზემამ შეძლო, რომელიც ამ დღეს

კი მათ სწორედ იმ დონის ფეხბურთი ითამაშეს, როგორც ველოდი. „ლიონი“ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ჩვენ მის წინააღმდეგ ძლიერად ვითამაშეთ. „ლიონს“ ასეთი სასიამოვნო თამაშისთვის მადლობას ვუხდით და რაც შეიძლება მეტ გამარჯვებებს ვუსურვებ, ჩვენ კი ბრძოლას ვაგრძელებთ“.

რამალი 1:0 სტიაუა  
1:0 ნიკოლიტა (70ს.კ.)  
რამალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, ი. ელგერა, რ. კარლოსი, ემერსონი, მ. დიარა (ბექემი 59), რაული, გუტი, რომინიო (რეიესი 87), ვან ნისტერლო (რონალდო 74) მწვრთნელი: ფაბიო კაპელო  
სტიაუა: ჩერნია, სტანჟუ, გიონია, გოიანი, მარინი, ნიკოლიტა, პარასკივი (ტურეაუ 79), დიკა, პეტრე, ოპრიტა (კომანი 84), ბადია (ლოვინი 79) მწვრთნელი: კონრად პლაუცი (ავსტრია) 80 300 მაყურებელი

ბუშარმისტის გუნდმა „სანტიაგო ბერნაბეუს“ დაუღალავი ფეხბურთი აჩვენა და სწორედ ამ უმრეტესი ენერჯის წყალობით შეუქმნა ჩემპიონთა თასის ცხრაგზის მფლობელს პრობლემები, მაგრამ სასურველის მიღწევას ხომ იღბალი სჭირდება: ის ის იყო, ხალხი უკვე იჯერებდა, რომ „სამეფო გუნდი“ აღმოსავლეთეუროპულ მოწადინებას იმ საღამოს ვედარაფერს დაუპირისპირებდა, რომ ბანელ ნიკოლიტამ თავის მეკარეს კორნელ ჩერნიას

ისეთი პასი დაუგორა, რომ... ერთი სიტყვით, „რეალი“ დაწინაურდა. მოგეხსენებათ, ორი კვირის წინ, მინ, „სტიაუამ“ მადრიდელებთან 1:4 წააგო და ასეთი მარცხის შემდეგ, მითუფრო სტუმრად, ბუნებრივია, გაცილებით ფრთხილად, უმეტესად დაცვაზე ფიქრით თამაშობდა, თუმცა ვითარებასაც აღლო აულო და მე-10 წუთზე საგოლე მომენტიც კი შექმნა — მარჯვნიდან ნიკოლიტამ გაინავარდა და ჩაჭკიდა იქ, სადაც ბურთს მასპინძელთა კარში შესაგდებად სამი თანაგუნდელი ელოდა, მაგრამ მეკარე იკერ კასილიასმა იყოჩაღა. კასილიასმა მერე კიდევ გამოიჩინა თავი, თუმც თავისი ოსტატობა ჩერნიამაც აჩვენა ქომაგს — რუულ ვან ნისტერლოის ერთხელ აულო, მეორედ კი ბურთი კარის ხაზიდან გამოავლო. ჩინებული საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან რაულმა და ივან ელგერამაც, თამაშის ბოლოს კი ვან ნისტერლოიმ პენალტი ვერ გაიტანა.

„რეალის“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო: „ჩვენი ამოცანა პლეი ოფისი გასვლა იყო და შევასრულეთ. თავად ვერ გავიტანეთ? „სტიაუას“ საჩუქარი მივიღეთ სიამოვნებით. ასეთია ფეხბურთი. და კიდევ, დღეს დევიდ ბექემამ აჩვენა, რომ კარგ ფორმაში შედის“.

აგაუნა კილია

ლიონი	4	4	0	0	9:0	12
რამალი	4	3	0	1	10:4	9
სტიაუა	4	1	0	3	5:9	3
დინამო	4	0	0	4	2:13	0

ქვეყნის

დაფიცხებულნი 3:0 სპრინგსტონს უმღერია და რას ერჩი

კოპენჰაგენი 1:0 მანჩესტერი  
1:0 ოლბოკი (73)  
კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, იაკობსენი, პანგელანდი, გრაგგარდი, ვენდტი, სილბერბაუერი (კვისტი 71), ლინდეროტი, ნორეგარდი, ბერგვოლდი (ბერგლუნდი 68), ოლბოკი (თომასენი 89), შათინსონი მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი  
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნ, ვიდიჩი (ფერდინანდი 46), სილვესტრი, ჰაინცე (ევრა 80), ფლეტჩერი (სქოულზი 71), პარიკი, ოში, რონალდუ, რუნი, სოლსკიერი მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი  
გაფრთხილება: პანგელანდი, რონალდუ მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია) 40 308 მაყურებელი



მარკუს ოლბოკმა (№11) ისტორიული გოლი შეაგდო

რის შემდეგ შეხვედრის ერთადერთი გოლი შეაგდო.

ბანფიკა 3:0 სელტიკი  
1:0 კოლდუელი (10ს.კ.), 2:0 ნუნუ გომეში (22), 3:0 კარიკა (76) ბანფიკა: კიმი, ნელსონი, ლუიზო, რ. როია, ლეო, კაცურანისი, პეტიტი (ბეტუ 84), სიმო, ნუნუ ასისი, ნუნუ გომეში (მანტოლა 89), მიკოლი (კარიკა 67) მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუსი  
სელტიკი: ბორუცი, ტელფორი, კოლდუელი, მაგნანუსი, ნელორი, ნაკამურა, სნო (ფურაგსკი 72), ლენონი, პირსონი

ლაუზიტანიურ-სმოთური  
ჯახი მაგიურ 3:0-ს ვერ გაეცა. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენჯერაც ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ, ტახლოზე მუდამ ეს ანგარიში დაფიქსირდა. 1969 წლიდან მოყოლებული, ხან „ბენფიკა“ იგებდა და ხან „სელტიკი“, თუმც 3:0 ამოთვის, ეტყობა, დაუწყველი კანონია. „ბენფიკა“ შეხვედრის მე-10 წუთზე დაწინაურდა: ნელსონმა „მოტლანდიელთა“ საჯარიმოში ნუნუ გომეშის მისამართით ჩააწოდა, პორტუგალიელმა ბურთს ვერ მიუსწრო, მაგრამ „სელტიკის“ მცველმა კოლდუელმა „ივარგა“ და საკუთარ კარში გაიტანა. სტუმართა მცველებმა და მეკარემ ვერც ლუზიტანთა მეორე გოლის დროს იაქტიურეს — მეკარე კიმის გრძელი პასი ნუნუ გომეშმა უპრობლემოდ მიიღო. „სელტიკის“ მეკარე არტურ ბორუცს მოხდენილად გასცდა და ბურთი კარში შეაგდო. „ემსტადიუ და ლუჟუე“ უპირატესობას ამის შემდეგაც მასპინძლები ფლობდნენ. ტახლოზე მაგიური 3:0-ის ანთება ჯერ ფაბრიციო მიკოლის შექმნა, შემდეგ იმავე ნუნუ გომეშს, მაგრამ ბედმა შესამეგოლის ავტორობა რუს ანდრეი კარიაკას არგუნა. „ბენფიკას“ ლეგიონერმა 76-ე წუთზე იმ დღეს ბრწყინვალედ მოთამაშე ნელსონის პასით გაიტანა. გორდონ სტრაჩანის გუნდი ამის შემდეგ ოდნავ გამოფხიზლდა, თუმც ღირებულის მაინც ვერ მიაღწია. ჯალოსნური 3:0 ძალაში დარჩა.

სავინალო სასტვენამდე 17 წუთით ადრე „კოპენჰაგენის“ თავდასხმელმა მარკუს ოლბოკმა „მანჩესტერის“ კარი დალაშქრა და თავის გუნდს საამისეზონო ლიგაზე პირველი გამარჯვება მოუტანა. ჯგუფის მეორე მატჩში კი „ბენფიკამ“ „სელტიკს“ მოუგო, რაც იმას ნიშნავს, რომ მერეედფინალში გასვლის შანსს ოთხივე გუნდი ინარჩუნებს. „პარკენის“ საფარი ბრიუს სპრინგსტონის კონცერტის შემდეგ იდეალურ მდგომარეობაში არ გახლდათ და გუნდებს ამის გამო პრობლემები შეექმნათ. სტუმარ-მასპინძელმა წარმატების მისაღწევად ძირითადად, „საპერო ომს“ მიმართა. მე-13 წუთზე ჰაინცემ კარგი პასით რუნი ახერია, თუმც დანიელთა მეკარე კრისტიანსენმა ინგლისელს არ გაატანინა.



# ჩეხეთის ლიგის მიმოხილვა სარბიები VEGA SLOT

## ჩეხეთის ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**არსენალი 0:0 ცსკა**  
**არსენალი:** ლემანი, პოტი, ტურე, გალასი, კლინი, გლეზი (უოლკოტი 71), ფაბრეგასი (ფლამინი 89), ფილბერტი სილვა, როსიცკი, ანრი, ვან პერსი (ალიადინი 82)  
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი  
**ცსკა:** აკინფევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცი, ვ. ბერეზუცი, რახიმინი, კრასინი (ალდონინი 40), ფირკოვი, დ. კარვალიუ (ტარანოვი 90), დუდუ, ვაგნერ ლავი (ოლიჩი 85)  
**მწვრთნელი:** ვალერი გაზაევი  
**გაფრთხილება:** ანრი, ვ. ბერეზუცი, გლეზი, შემბერასი  
**მსაჯე:** ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი) 60 003 მაყურებელი

„არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი ამბობს, რომ თამაშში, რომელიც უგოლოდ დამთავრდა, 7:0 ან 7:1 უნდა დამთავრებულიყო მისი გუნდის სასარგებლოდ.  
 ცროლბს?  
 ცეცხლს თავაკი ვალერი გაზაევი აღიარებს, „გარკვეული იტალია“ გვექნება.  
 ამრიგად, ჩვენ ვსაუბრობთ თამაშზე, რომლის პირდაპირი რეპორტაჟი საქართველოში საგარეოდ, ფეხბურთის ყველა მოყვარულმა ნახა და არც ვენგერსა და არც გაზაევის ტყუილის თქმის უფლებას არ მისცემს.  
 ვენგერი: „ეს რომ ნორმალური თამაში ყოფილიყო, ანგარიში 7:0 ან 7:1 იქნებოდა. ვფიქრობ, ძალიან

## ფრა კალიან უორ მანკილზე

ბევრი სასარგებლო დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ჩვენ უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით და მოსკოველები რადენიმე კილომეტრით ჩამოვიტოვეთ. „არსენალს“ და ცეცხლს შორის ერთი დივიზიონია, ჩვენ სხვა ლიგის გუნდი ვართ, ცეცხლსა სხვის. გულშემოტყვიარი ჩინებული იყო, ჩინებული გახლდათ გუნდით, მაგრამ შედეგი არაფრად ვარგოდა. ჩვენს გუნდს საოცარი პოტენციალი აქვს და უახლოეს თვეებში გაირკვევა, შევძლებთ თუ არა, ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას. დღეს პირველ ტაიმში „არსენალმა“ ისე ითამაშა, როგორც ჩემს ხელში, ჩემპიონთა ლიგაში არასდროს უთამაშია“.

ვალერი გაზაევი: „დღეს გარკვეულწილად გავემართლა. პირველ ტაიმში ტაქტიკური ხასიათის ცვლილებები გავაკეთე, რადგან აშკარა იყო, რომ ნახევარდაცვა უნდა გავეძლიერებინა და ფაქტია, ამ ცვლილებებმა შედეგი მოიტანა. პირველ ტაიმში თუ „არსენალი“ გვჯობდა, მეორეში სურათი მეტ-ნაკლებად გათანაბრდა. ძალიან კარგი იყო ვაგნერ ლავი, რომელმაც ჩვენს წინა შეხვედრაში ვერ ითამაშა“.



**ვიმორებთ, ვინაიდან თამაში მთელმა საქართველომ ნახა, მომენტების აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, თუმც გეტყვით, რომ ვენგერი უფრო მართალი გვეკონია. თქვენ?**  
**პამპურბი 1:3 პორტუ**  
 0:1 გონსალესი (44), 0:2 ლოპესი (61), 1:2 ვან დერ ვაარტი (62), 1:3 მორაეში (87)

რესმა, პოტიგა (მორაეში 70), ლ. ლოპესი (ფორცინი 82)  
**მწვრთნელი:** ფესულდო ფერერა  
**გაფრთხილება:** ვან დერ ვაარტი, მიერელემი, მორაეში  
**მსაჯე:** ლორან დუამელი (საფრანგეთი) 51 000 მაყურებელი

**პამპურბი** გამართული თამაშის შედეგი რიცხვებში როგორ გამოიხატება ზემოთაც ხედავთ, სიტყვებით კი ეს იმას ნიშნავს, რომ „პორტუს“ პლეი ოფში გასვლის დიდი შანსი აქვს, გერმანული გუნდი კი ჩემპიონთა ლიგას გამოეხიზა — კალენდრით დარჩენილ ჯგუფის ორ თამაშსაც ჩაატარებს და შინ წავა.

ანგარიში შესვენების წინ ლუიზ გონსალესმა ჩინებული დარტყმით გახსნა, მეორე ტაიმში კი ლისანდრო ლიპესმა მეორე შეაგდო. შემდეგ რაფაელ ვან დერ ვაარტმა თავურით ვითომ გამოაცოცხლა „პამპურის“ ოცნებები, მაგრამ „პორტუს“ შემადგენლობაში შეცვლაზე შესულმა ბრუნო მორაეშმა წერტილი სტუმრების სასარგებლოდ დასვა.

ცსკა	4	2	2	0	2:0	8
პორტუ	4	2	1	1	7:4	7
არსენალი	4	2	1	1	4:2	7
პამპურბი	4	0	0	4	3:10	0

**პამპურბი:** კირშტაინი, მადაგიკია, კომპანი (კლინგბილი 71), მატისენი, ატუბა (ბერიშა 65), ტროსოვსკი, ფილბერტი, სორინი, ვან დერ ვაარტი, ლიუბოია (გერერო 58), სანოგო  
**მწვრთნელი:** თომას დოლი  
**პორტუ:** ელტონი, ბოსინგვა, პეგე, ბ. ალვანი, ფუსილი, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, მიერელემი (მ. ჩეხი 90), კვა-

## კაკა გვჩამს, ანჩელოტი გვაკვირვებს

**მილანი 4:1 ანდერლესტი**  
 1:0, 2:0, 3:0 კაკა (73, 22, 56), 3:1 იუბაში (71), 4:1 ჯილარდინო (88)  
**მილანი:** დიდა, შიმინი, ნესტა (კაფუ 19), მალდინი, იანკოლოვსკი, გურგუფი (გატუზო 66), ბროკი, ზედორფი, კაკა, ჯილარდინო, ოლივირა (პირლო 72)  
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი  
**ანდერლესტი:** თატა, ვანდერ ბორე (ლუფარი 85), დე მანი, იუბაში, დემსტი, პასანი, ვანდერვეე (სერბათი 39), ზუსუფა (მ. მუნჯა 80), ბილია, ტმიტე გოორი  
**მწვრთნელი:** ფრენკი ვერკუტერენი  
**გაფრთხილება:** ბილია, გატუზო, პასანი, ჯილარდინო  
**მსაჯე:** პერბერტ ფანდელი (გერმანია) 42 300 მაყურებელი

**რამდენიც** არ უნდა იმახოს „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტმა თუ მთლიანად ხელმძღვანელობამ, კაკა „როსონერის“ ლიდერი არ არის და ჩვენი მთავარი ძალა გუნდურობაშიაო, ფაქტია, რომ დღესდღეობით „მილანის“ თამაშს სწორედ ბრაზილიელი პლეი-მიეკერი განაპირობებს.

მატჩის დებიუტშივე „მილანი“ გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და ანგარიშიც მალევე გახსნა. მე-6 წუთზე ალბერტო ჯილარდინო როლანდ იუპაშმა წააქცია და კაკამაც პენალტი აუღებლად დაარტყმა. საგრძობი უპირატესობა „როსონერის“ 15 წუთში მეორე გოლში გარდასახა — დამუხრული ალესანდრო ნესტას ნაცვლად მინდორზე შესუ-



**ალბერტო ჯილარდინომ ჩემპიონთა ლიგაში პირველი გოლი გაიტანა**

ლმა კაფუმ კაკასთან ჭკვიანური კომბინაცია გაითამაშა, რომელიც ბრაზილიელმა გამთამაშებელმა ზუსტი და კონტა დარტყმით დაასრულა.

მეორე ნახევარში ოდნავ გააქტიურებული „ანდერლესტი“ კაკამ 56-ე წუთზე კიდევ ერთხელ „დაამუხრდა“, როცა ლამაზი და აუღებელი შორეული დარტყმით ჰეთ თრიქი გაიფორმა. ერთადერთი, რაც ბე-

ლია, რაც შეეხება კაკას, იგი ფენომენია, დიდი ფეხბურთელი და აღამიანი“ — აღნიშნა ჯილარდინომ.

კარლო ანჩელოტი: „კაკა ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა. იგი ძალიან ეფექტურად და, რაც მთავარია, სასარგებლოდ თამაშობს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მასზე უკეთესს ვერავის ვხედავ, რომელიმე ჩათვლით. ძალიან გამახარა ჯილარდინომაც. შესაძლოა, მისი ერთი გოლი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კაკას სამი. მან გაიტანა დერბოში და, როგორც იქნა, ჩემპიონთა ლიგაშიც. ასე რომ, ახლა ძველ ალბერტოს ვიხილავთ. ჯგუფის მომავალ მატჩში ათენში აეკ-თან სულ მცირე, ქულის აღებას ვეცდებით, რაც მერვედფინალის საგზურს გაგვინადებს. ცუდი ამბი კი ის არის, რომ კაკა კალაძე მატჩამდე მოთვლავზე დაშავდა, ხოლო ნესტა — შეხვედრისას. ისინი ალბათ კვირას „ატლანტასთან“ მატჩში ვერ დაგვეხმარებიან“.

**აქამ 1:0 ლილი**  
 1:0 ლიბეროპოლისი (74)  
**აქამ:** სორენტი, მორასი, დელასი, ჩიროლო, გეორგეასი, ენერსონი (კაბეტანოსი 47), ტომერი, ზიკოსი, ფულიო სეზარი (მანდუკა 58), ლიბეროპოლისი, პატევი (კოიაკოვიჩი 88)  
**მწვრთნელი:** ლორენს სერა ფერერი  
**ლილი:** ტ. სილვა, მალმე ტავლარიდისი, პრესტანი, ტაფორო, ა. კეიტა, კაბაიე

ბოდერი, მაკუნი (ფოფერი 77), რობალი (დებუში 57), ოდგონი (ოლა 58)  
**მწვრთნელი:** კლოდ პუელი  
**გაფრთხილება:** ტავლარიდისი, ტავლარიდისი, მაკუნი, დელასი, კეიტა, კაპეტანოსი, კაბაიე  
**გაძეგება:** ტავლარიდისი (22)  
**მსაჯე:** სტივ ბენეტი (ინგლისი) 14 373 მაყურებელი

**ათენის** აეკ-მა, როგორც იქნა, შეწყვიტა თავისი ანტირეკორდი და 21 მოუგებელი შეხვედრის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში თავისი პირველი გამარჯვება იხეიმა. მატჩი უღიმამდამო და დამაბული გამოდგა, მაგრამ მასპინძლები ძალიან მონდომებულნი იყვნენ და ძიადწიეს კიდევ მიზანს.

22-ე წუთზე „ლილს“ უხეშად მოთამაშე ბერძენი ლეგიონერი ფუსტათიოს ტავლარიდისი გაუტყვეს, ამიტომ ფრანგებს იძულებით დაკვიდან თამაში მოუხდათ და აეკ-იც ფრთხილობდა. მთლიანობაში 3-4 საგოლე მომენტი თუ შეიქმნა. ყველაფერი ნიკოს ლიბეროპოლისის შორეულმა გასროლილმა გადაწყვიტა, რამაც ათენელებს დიდი სიხარული მოუტანა და ახლა ისინი ჯგუფიდან გასვლის შანსსაც ინარჩუნებენ.

მილანი	4	3	1	0	8:1	10
ლილი	4	1	2	1	4:3	5
აეკ	4	1	1	2	3:7	4
ანდერლესტი	4	0	2	2	3:7	2

**გიორბი კაკაბაძე**











# მძიმე წელი დასრულდა

## ლუკა კურტიანიძე მსოფლიო ჩემპიონის წოდებას უბრუნდება

მძიმე წონაში ჩაჭიდავებული არცთუ ურიგო სეზონის შემდეგ ლუკა კურტიანიძე ისევ მსოფლიო ჩემპიონის — 96 კილოგრამში ბრუნდება. გადამწყვეტილება უკვე მიღებულია. მსოფლიოს ორგანიზაცია და ევროპის ხუთგზის ჩემპიონს მედლების

სრული კოლექციის შესაგროვებლად ოლიმპიური ოქროს აკლია და 2008 წლის ოლიმპიადისთვის აქედანვე ემზადება. პეკინამდე კი მთავარი სამიზნე მომავალი წლის შემოდგომაზე აზერბაიჯანში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატია



ლუკა კურტიანიძესა და გიორგი გოგუელიძეს მძიმე სეზონი ელით

— მძიმე წონაში აწვეა წინასწარ გათვლილი ნაბიჯი იყო — გვითხრა გუშინ კურტიანიძემ — ეს ნაბიჯი რომ არ გადავადგა, ახლა ალბათ ასეთი მობილიზებული ვერ ვიქნებოდი. მოგესხნებათ, ჩემი მთავარი საფიქრალი ოლიმპიური თამაშებია. ზემოთ ხსენებული ერთ-ერთი სტრატეგია კი პეკინისწინა ოთხწლიანი ციკლისთვის სასარგებლო იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩემი შესაძლებლობები გაცილებით რთულ ფორმებზე გამოვცდავ და მეორეც, 96 კილოგრამში მოჭიდავე გიორგი გოგუელიძესაც მივეცი შანსი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ეჭვიდავა — არ ჯობდა, 96-ში დარჩენილიყავი და დიდი ტურნირების საგზური ძლიერ შიდა კონკურენციაში გარკვეულიყო?

— კონკურენცია კარგია, მაგრამ მარტო მისით მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება მაინც სარისკო საქმეა. ხანდახან ჯობს, საზოგადოების აზრსაც მიექცეს ყურადღება. ამ შემთხვევაში საერთო აზრი ასეთი იყო — გოგუელიძისთვისაც უნდა მიეცათ საკუთარი შესაძლებლობების გამოჩენის შანსი. მე რომ 96-ში დავრჩენილიყავი და ევროპა და მსოფლიო გამოვეტოვებინა, ძალიან ბევრს დავკარგავდი. — ძველ წონაში ნებისმიერი ტურნირის წინ ფავორიტად მიიჩნეოდა. მძიმეში კი შენს საჩემპიონო შანსებზე ნაკლებად საუბრობდნენ, ეს მომენტები ხომ არ გაღიზიანებდა? — პირიქით. ეს ჩემთვის უკეთესი იყო. ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი მქონდა. მძიმე

მე წონაში ხუთი ტურნირი ვიჭიდავე და ოთხში მედალი ავიღე. მართალია, ჩემპიონი ვერ გავხდი, მაგრამ საპრიზო ადგილებზე ვასვლავ საკმაოდ კარგი შედეგი იყო. — სეზონის უმთავრეს ტურნირზე კი უმელოდ დარჩი... — მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ კარად გამოჩნდა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს წონაში სვლაობას. მეტოქეები დაახლოებით 20 კილოგრამით მძიმეები იყვნენ. მე კი ტურნირისწინა შეკრებისას ვაშმაგებულმა სამზადისმა წონა პირიქით დამაკლო. 105 კილოგრამიდან 99-მდე ჩამოვედი.

— ასეთი ძნელი იყო თუნდაც 5-6 კილოგრამის მომატება? — მოვიმატებდი, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა მინუსები იჩენდა თავს. იმ ასაკშიც აღარ ვარ, გაზრდის შანსი რომ მქონდეს. ამ ეტაპზე რაც შემეძლო, მაქსიმუმი ვაკეთე. — ისევ 96 კილოგრამამდე დაკლება არ გაგიჭირდება? — ამჟამად 3-4 კილოგრამით მეტს ვიწონი. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემა არ შემექმნება. სეზონი მორჩა, მაგრამ დასვენებაზე ჯერ არ ვფიქრობ. წყნეთში, ჩემს კლუბში ვვარჯიშობ. ზალიჩაზე კვირაში ორჯერ ვავდივარ. ძირითად ყურადღებას ფიზიკურ მოზადებას ვუთმობ.

— გიორგი გოგუელიძემ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე საკმაოდ კარგად იჭიდავა. უმძიმესი შიდა კონკურენცია გელის... — ეს ჩემთვისაც და გიორგისთვისაც დამატებითი სტიმული იქნება. ფსიქოლოგიურად ორივე გაცილებით მობილიზებული ვიქნებით და ამით ქართული ჭიდაობა მოიგებს. გოგუელიძესთან კონკურენციას უდიდესი ინტერესით ველი და არა ზედმეტი დაძაბულობით. — როდისთვის ვეგმავ ზალიჩაზე დაბრუნებას? — ზუსტი პასუხის გაცემა ცოტა მიჭირს. საბოლოო გადაწყვეტილება ლერი ხაბელოვთან, ვია ვალდავასთან და დავით ხურციასთან ერთად უნდა მივიღო. ამ სამეულის რჩევებს დიდ ანგარიშს ვუწევ. ხაბელოვი სწორედ ჩემს წონაში ჭიდაობდა, მსოფლიოში საუკეთესოც იყო და მის მითითებებს ჩემთვის უდიდესი ფასი აქვს. ვისარგებლებ შემთხვევით და ვაყის შეძენას მივულოცავ. — იანვარში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. მასზე იჭიდავებ?

— სავარაუდოდ, ცოტა მოვიკანებო, იანვრის ბოლოს დავიწყებ — კრასნოიარსკში იარიგინის ტურნირზე ვაგემზავრები და დაბრუნებაც იქ შედეგა. ქართველი მკურნალის თვალწინ კი ზაფხულში ვიჭიდავებ, ვახტანგ ბალაგაძის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე.

ოთარ მაღლაკელიძე

# რეგულარული ჩამპიონატი



სიდნი კროსბი (მარცხნივ) და მარკ რეჯი (მარჯვნივ) ევგენი მალკინის მორიგ გოლს ზეიმობენ

# მაღკინმა 89 წელი ჩამოიხრია

- 1 ნოემბერი
- კოლუმბუსი 3:5 კოლორადო 1:2 1:2 1:1
- 0:1 ვოლსკი (6), 0:2 მაკლინი (12), 1:2 ფიოდოროვი (12), 1:3 საკივი (24), 1:4 რაიგროფტი (36), 2:4 მოდინი (39), 2:5 ვიბორნი (55), 3:5 რიჩარდსონი (55)
- ატლანტა 2:5 აბრამსონი 0:2 1:2 1:1
- 0:1 უიტნი (11), 0:2 უოქერი (11), 1:2 პოსა (24), 1:3 ბრინდამორი (29), 1:4 უიტნი (36), 2:4 ვიშნევსკი (48), 2:5 ბრინდამორი (59)
- დეტროიტი 3:2 კალგარი 2:1 0:0 1:1
- 1:0 ფრანცენი (5), 2:0 პოლმსტრომი (6), 2:1 ფანფი (13), 3:1 ლეშა (52), 3:2 ფერენსი (59)
- ტამპა 2:4 ტორონტო 1:1 1:0 0:3
- 1:0 რიჩარდსონი (12), 1:1 კაბერლე (18), 2:1 ლეკვალდე (27), 2:2 გილი (42), 2:3 უაითი (52), 2:4 პონიკაროვსკი (59)
- დალასი 4:1 სინტ ლუისი 1:1 1:0 2:0
- 0:1 ტაჩუკი (2), 1:1 ლინდროსი (11), 2:1 მოდანი (28), 3:1 იოკინენი (56), ლინდროსი (59)
- ედმონტონი 3:5 ნეშვილი 0:2 1:0 2:3
- 0:1 ფიდლერი (2), 0:2 ვებერი (16), 1:2 პესტი (28), 1:3 სუტერი (45), 2:3 სმიტი (48), 2:4 ვაშოლი (57), 3:4 ბერფორნი (59), 3:5 ლეგანდი (60)
- ანაჰაიმი 3:4 რიჩარდსონი 1:1 2:1 0:1 0:1 (ოვერტიმე)
- 1:0 სელიანო (7), 1:1 პეტსი (18), 1:2 შნაპერი (26), 2:2 პრინცევი (31), 3:2 ბატცლაგი (33), 3:3 პრუხა (45), 3:4 იაგრი (64)
- ლოს ანჯელესი 3:4 პიტსბურგი 1:2 2:0 0:1 0:1 (ოვერტიმე)
- 1:0 კამალერი (1), 1:1 სტალი (2), 1:2 მალკინი (9), 2:2 ბრაუნი (21), 3:2 ბლეიკი (25), 3:3 ველზი (48), 3:4 მალკინი (63)
- პიტსბურგელი „პინგვინების“ რუსმა ვუნდერკინმა ევგენი მალკინმა სადებიუტო სეზონის ზედიზედ მეექვსე სასტარტო მატჩში გაიტანა გოლი და 89 წლის წინათ, შორეული 1917-18 წლების სეზონში დამყარებული რეკორდი გაიმეორა

— თითქმის ცხრა ათეული წლის წინათ ერთბაშად სამმა პოკეისტმა — ჯო მელლოუნმა, ნიუსი ლალონდემ და საიუ დენინიმ შეძლო სადებიუტო სეზონის ზედიზედ ექვსე საწყის შეხვედრაში გოლის გატანა და აი, იგივე „პინგვინების“ რუსმა ახალწვეულმაც გააკეთა. მალკინის ანგარიშზე ამ ექვსე მატჩში უკვე 7 გოლია და ამ ექვსე თამაშიდან, პირველის გარდა, „პინგვინებმა“ ყველა მოიგეს. მარტო მალკინს ნუ დავაბრალებთ „პიტსბურგის“ აღმავლობას — დიდებულ ფორმაშია სიდნი კროსბი, კიდევ ერთ ახალბედს, 18 წლის ჯორდი სტალსაც გააქვს გოლები, კოლიკაპერი მარკ-ანდრე ფლერიც სუპერსაძიელოდ თამაშობს და თავს, არც ვეტერანები — მარკ რეჯი და სერგეი ვონნარი ირცხვენენ. კროსბიზე ვთქვათ — 19 წლის პოკეისტები დებიუტანტი აღარ არის, მეორე სეზონს ატარებს ლიგაში, მაგრამ ნუ დაგვაიწყებია, რომ ის მალკინზე ერთი წლით უმცროსია და ასეთ ასაკში უკვე ლიგის ბომბარდირობაზე აცხადებს პრეტენზიას — ამას წინათ კარიერაში პირველი ჰეთ-ორიკი გააკეთა, ხოლო ლოს ანჯელესში ერთბაშად სამი შედეგანი პასი მიითვალა და ახლა მის ანგარიშზე 18 (6+12) ქულაა, რაც მხოლოდ ორი ქულით ნაკლებია ლიგის პირველი ბომბარდირის, დიდი იარომირ იაგრის მაჩვენებელზე. როდის მოიგეს ზედიზედ ხუთი თამაში, პიტსბურგში ალბათ ადარც ახსოვთ, ხოლო ლოს ანჯელესში „პინგვინებს“ 1999 წლის შემდეგ აღარ ემარჯვათ. თუმცა, ახლა „პინგვინს“ კროსბი-მალკინის ისეთი სუპერდუელი ჰყავს, მრავალნი ლემიე-იაგრის ლეგენდარულ წყვილს რომ ადარებენ და ამ გუნდს უკვე ნებისმიერის დამარცხება ხელუწყდება.

# ოქტომბერი მიღებისაა



ბუზალაოელი „ხმლების“ გოლიკაპერი რაიან მილერი რეგულარული სეზონის პირველი თვის, ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. გასულ თვეში „ხმლებმა“ ცხრიდან რვა მატჩი მოიგეს და ამ შეხვედრებში მილერი დარტყმათა 92,1 პროცენტს იგერიებდა და საშუალოდ, მხოლოდ 2,36 შაბას უშვებდა. ოქტომბრის მეორე ვარსკვლავად „ატლანტას“ რუსი მოიერიშე ილია კოვალჩუკი, ხოლო მესამედ „ანაჰაიმის“ მცველი სკოტ ნაიდერმაიერი იქნა დასახელებული.

